

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში	20
6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და კლასიფიკაციის ცვლილება	21
7. შემოსავალი.....	21
8. რეალიზაციის თვითღირებულება	22
9. საოპერაციო ხარჯები	22
10. ფინანსური ხარჯი	22
11. ძირითადი საშუალებები.....	23
12. არამატერიალური აქტივები	24
13. საინვესტიციო ქონება	25
14. მარაგები	26
15. წმინდა საგადასახადო აქტივი.....	26
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	26
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
18. საწესდებო კაპიტალი.....	27
19. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები.....	27
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
21. მოგების გადასახადი.....	27
22. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	28
23. ფინანსური რისკის მართვა.....	28
24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „არალის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „არალის“ (შემდეგში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვინიშნეს 2019 წლის 26 აგვისტოს და შესაბამისად, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2018 წლის ბოლო მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის აღრიცხული თუ აღურიცხავი მარაგების ნაშთის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 1,456 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა ელემენტებში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და შესაბამისობაში მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2019



Closer to you

შპს „არალი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	7	15,324	13,079
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(7,445)	(6,504)
საერთო მოგება		7,879	6,575
საოპერაციო ხარჯები	9	(6,381)	(2,818)
საოპერაციო მოგება		1,498	3,757
ფინანსური ხარჯი	10	(139)	(144)
არასაოპერაციო შემოსავალი		83	35
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		71	(56)
არასაოპერაციო ზარალი		-	(86)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(63)	(134)
მოგება დაბეგვრამდე		1,450	3,372
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		1,450	3,372
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,450	3,372

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილ კორექტირების შედეგს.

დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „არალი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017 * გადაანგარიშებული
შემოსავალი	7	15,324	13,079
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(7,445)	(6,504)
საერთო მოგება		7,879	6,575
საოპერაციო ხარჯები	9	(6,381)	(2,818)
საოპერაციო მოგება		1,498	3,757
ფინანსური ხარჯი	10	(139)	(144)
არასაოპერაციო შემოსავალი		83	35
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		71	(56)
არასაოპერაციო ზარალი		-	(86)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(63)	(134)
მოგება დაბეგვრამდე		1,450	3,372
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		1,450	3,372
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,450	3,372

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილ კორექტირების შედეგს.



დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „არალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17 * გადანაგარიშებული	1-იან-2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	6,820	6,268	4,957
არამატერიალური აქტივები	12	161	158	77
საინვესტიციო ქონება	13	200	200	209
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,181	6,626	5,243
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	14	1,456	378	261
წმინდა საგადასახადო აქტივი	15	544	196	112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,507	2,794	735
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	243	279	35
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,750	3,647	1,143
სულ აქტივები		11,931	10,273	6,386
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		8,274	7,979	6,133
სულ კაპიტალი		8,276	7,981	6,135
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	19	728	1,065	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		728	1,065	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,497	914	181
მოკლევადიანი სესხი	19	430	313	-
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება		-	-	70
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,927	1,227	251
სულ ვალდებულებები		3,655	2,292	251
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,931	10,273	6,386

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილ კორექტირების შედეგს.

დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „არალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17 * გადაანგარიშებული	1-იან-2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	6,820	6,268	4,957
არამატერიალური აქტივები	12	161	158	77
საინვესტიციო ქონება	13	200	200	209
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,181	6,626	5,243
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	14	1,456	378	261
წმინდა საგადასახადო აქტივი	15	544	196	112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,507	2,794	735
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	243	279	35
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,750	3,647	1,143
სულ აქტივები		11,931	10,273	6,386
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		8,274	7,979	6,133
სულ კაპიტალი		8,276	7,981	6,135
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	19	728	1,065	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		728	1,065	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,497	914	181
მოკლევადიანი სესხი	19	430	313	-
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება		-	-	70
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,927	1,227	251
სულ ვალდებულებები		3,655	2,292	251
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,931	10,273	6,386

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილ კორექტირების შედეგს.



დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „არალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016		2	6,133	6,135
წლის სრული შემოსავალი		-	3,372	3,372
გამოცხადებული დივიდენდი	18	-	(1,526)	(1,526)
31 დეკემბერი, 2017		2	7,979	7,981
* გადაანგარიშებული				
წლის სრული შემოსავალი		-	1,450	1,450
გამოცხადებული დივიდენდი	18	-	(1,155)	(1,155)
31 დეკემბერი, 2018		2	8,274	8,276
* გადაანგარიშებული				

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილ კორექტირების შედეგს.

დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „არალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016	2	6,133	6,135
წლის სრული შემოსავალი	-	3,372	3,372
გამოცხადებული დივიდენდი 18	-	(1,526)	(1,526)
31 დეკემბერი, 2017	2	7,979	7,981
*გადაანგარიშებული			
წლის სრული შემოსავალი	-	1,450	1,450
გამოცხადებული დივიდენდი 18	-	(1,155)	(1,155)
31 დეკემბერი, 2018	2	8,274	8,276
*გადაანგარიშებული			

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-6 შენიშვნაში აღწერილ კორექტირების შედეგს.



დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შპს „არალი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017 * გადაანგარიშებული
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		1,450	3,372
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11; 12; 13	888	814
მოთხოვნების რეზერვი	16	1,134	33
ფინანსური ხარჯი	10	139	144
ზარალი საკუროს სხვაობიდან		63	134
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(71)	56
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		4	38
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე:		3,607	4,591
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა მარაგებში		(1,078)	(117)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(847)	(2,283)
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივებში		(347)	113
ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში		1,513	733
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტამდე		2,848	3,037
გადახდილი პროცენტები		(139)	(144)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,709	2,893
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(1,495)	(2,264)
არამატერიალური აქტივების შეძენა	12	(78)	(96)
საინვესტიციო ქონების შეძენა	13	(10)	(4)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		206	75
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,377)	(2,289)
ფინანსური საქმიანობა			
ბანკის სესხის აღება		1,547	1,878
ბანკის სესხის დაფარვა		(1,746)	(720)
დივიდენდის გადახდა	18	(1,155)	(1,526)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(1,354)	(368)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება		(22)	236
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(14)	8
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში		279	35
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		243	279

დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „არალი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

შენიშვნა	2018	2017
	* გადაანგარიშებული	
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე	1,450	3,372
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია 11; 12; 13	888	814
მოთხოვნების რეზერვი 16	1,134	33
ფინანსური ხარჯი 10	139	144
ზარალი საკურსო სხვაობიდან	63	134
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	(71)	56
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	4	38
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე:	3,607	4,591
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება:		
ზრდა მარაგებში	(1,078)	(117)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(847)	(2,283)
(ზრდა) / შემცირება საგადასახადო აქტივებში	(347)	113
ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში	1,513	733
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტამდე	2,848	3,037
გადახდილი პროცენტები	(139)	(144)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,709	2,893
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა 11	(1,495)	(2,264)
არამატერიალური აქტივების შეძენა 12	(78)	(96)
საინვესტიციო ქონების შეძენა 13	(10)	(4)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	206	75
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,377)	(2,289)
ფინანსური საქმიანობა		
ბანკის სესხის აღება	1,547	1,878
ბანკის სესხის დაფარვა	(1,746)	(720)
დივიდენდის გადახდა 18	(1,155)	(1,526)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,354)	(368)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება	(22)	236
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	(14)	8
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	279	35
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	243	279



დადასტურებული და ხელმოწერილია 2019 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

მთ. ბუღალტერი - ლუდმილა პეტროსიანი

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „არალი“ დაარსდა და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2004 წლის 4 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია აბასთუმნის გზატკეცილი, ახალციხე, საქართველო.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის ოთარ თათეშვილი, ხოლო დირექტორი დემეტრე თათეშვილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გზების და გზატკეცილების მშენებლობა. ასევე, სარემონტო სამუშაოები, სამშენებლო მასალებით და ასფალტით ვაჭრობა.

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ისეთი ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყონ კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2.2 ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო / ლარი	3.0701	3.1044
საშუალო გაცვლითი კურსი	2018	2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.5345	2.5086
1 ევრო / ლარი	2.9913	2.8322

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ დაუწერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის.

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუწერია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მიხედვით, შესაბამისად 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს 39-ის შესაბამისად.

ფასს 9-ის დანერგვას არ ჰქონია რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15, რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში და შეცვლილ იქნა 2016 წლის აპრილში, განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს. შედეგად, კომპანიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი არ შეცვლილა სტანდარტის დანერგვის შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნაჩვენებ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსურ აქტივებს მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (“ECL”) გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების დარეზერვებისთვის გამოყენებული მატრიცა:

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 23-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 16-ე შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების, საინვესტიციო ქონებისა და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, გაუფასურებული აქტივის ჩამოფასება ხდება უმაღლეს თანხამდე შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მიწა	არ იცვითება
შენობები	20
მანქანა-დანადგარები	8
აღჭურვილობა	5
გაზ-გასამართი სადგური	20
სატრანსპორტო საშუალებები	8
საინვესტიციო ქონება	20

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

როგორც ეს ზემოთ შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიამ მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულებულია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 20-ში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

5. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც არ არის შესული ძალაში

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ არის შესული, მოცემულია ქვემოთ. „კომპანია“ აპირებს ამ სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს 17 - ლიზინგი, ფასიკ 4 - განსაზღვრა შეიცავს თუ არა გარიგება ლიზინგს, იმკ 15 - საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და იმკ 27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

ფასს 16 სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. ლიზინგის დაწყებიდან, მოიჯარე აღიარებს სალიზინგო გადახდების შესაბამის ვალდებულებას (ე.წ. სალიზინგო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი აქტივის ლიზინგის პერიოდის განმავლობაში გამოყენების უფლებას (ე.წ. გამოყენების უფლების მქონე აქტივი).

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო სრული ინფორმაციის გამჟღავნებას, ვიდრე ამას მოითხოვდა ბასს 17. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

კომპანიას შეუძლია აირჩიოს, რომ გადავიდეს სტანდარტზე სრული რეტროსპექტიული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით. რომ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „სავალსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალსო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და კლასიფიკაციის ცვლილება

კომპანიამ გამოავლინა სააღრიცხვო შეცდომები წინა პერიოდის წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში და მოახდინა მათი გასწორება მიმდინარე პერიოდში. აღნიშნულ შესწორებებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და გაუნაწილებელი მოგების ნაშთებზე.

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, ასევე მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

შეცდომების გასწორებამ და რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2017 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და 2017 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 31-დეკ-17	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტი- რებები	რეკლასი- ფიკაცია	კორექტირებულ ი თანხები
წმინდა საგადასახადო აქტივი	6	(7)	197	196
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,813	-	(19)	2,794
გადახდილი ავანსები	178	-	(178)	-
გრძელვადიანი სესხი	951	114	-	1,065
მოკლევადიანი სესხი	274	39	-	313
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	964	(50)	-	914

ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე 2017	წინა ანგარიშგების მიხედვით	კორექტი- რებები	რეკლასი- ფიკაცია	კორექტირებულ ი თანხები
საოპერაციო ხარჯები	(2,412)	42	(448)	(2,818)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,952)	-	448	(6,504)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	19	(153)	-	(134)

7. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	12,420	8,216
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	1,865	2,811
შემოსავალი მანქანა-დანადგარების იჯარიდან	747	1,324
შემოსავალი გაზ-გასამართი სადგურიდან	287	723
შემოსავალი კაფე-ბარის იჯარიდან	5	5
სულ შემოსავალი	15,324	13,079

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. რეალიზაციის თვითღირებულება

	2018	2017
გახარჯული ნედლეული და მასალები	4,070	4,220
პირდაპირი ხელფასი	1,352	884
საწვავი	1,216	641
ცვეთა	807	759
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7,445	6,504

9. საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
იჯარა	3,295	938
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	1,134	33
რემონტი	932	732
ხელფასი	286	229
კომუნალური	212	448
საკონსულტაციო	118	73
მივლინება	87	42
საგადასახადო	87	178
ცვეთა და ამორტიზაცია	81	55
სხვა ხარჯი	149	90
სულ საოპერაციო ხარჯები	6,381	2,818

10. ფინანსური ხარჯი

	2018	2017
სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	78	82
გარანტიებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	61	62
სულ ფინანსური ხარჯი	139	144

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	გაზ-გასამართი სადგური	მიწა და შენობები	სულ ჯამი
ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016	6,148	166	168	654	331	7,467
შეძენა	2,237	27	-	-	-	2,264
ჩამოწერა	(52)	-	(168)	-	-	(220)
31 დეკემბერი, 2017	8,333	193		654	331	9,511
შეძენა	1,445	36	-	8	6	1,495
ჩამოწერა	(337)	(4)	-	-	-	(341)
31 დეკემბერი, 2018	9,441	225	-	662	337	10,665
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2016	(2,261)	(118)	(30)	(85)	(16)	(2,510)
ცვეთის ხარჯი	(707)	(20)	(20)	(33)	(6)	(786)
ჩამოწერა	2	-	50	-	-	52
31 დეკემბერი, 2017	(2,966)	(138)	-	(118)	(22)	(3,244)
ცვეთის ხარჯი	(757)	(14)	-	(27)	(5)	(803)
ჩამოწერა	198	4	-	-	-	202
31 დეკემბერი, 2018	(3,525)	(148)	-	(145)	(27)	(3,845)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016	3,887	48	138	569	315	4,957
31 დეკემბერი, 2017	5,368	55	-	536	309	6,268
31 დეკემბერი, 2018	5,916	77	-	517	310	6,820

სრულად გაცვეთილი, მაგრამ კვლავ გამოყენებაში არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 661 ათას ლარს (2017: 661 ათასი ლარი). მანქანა-დანადგარების ცვეთის ხარჯი შედის რეალიზაციის თვითღირებულებაში.

შპს „არალი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

12. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები წიაღისეულის მოპოვებაზე	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ღირებულება			
31 დეკემბერი, 2016	134	2	136
შეძენა	96	-	96
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი, 2017	230	2	232
შეძენა	78	-	78
ჩამოწერა	(67)	-	(67)
31 დეკემბერი, 2018	241	2	243
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2016	(59)	-	(59)
ცვეთის ხარჯი	(14)	(1)	(15)
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი, 2017	(73)	(1)	(74)
ცვეთის ხარჯი	(74)	(1)	(75)
ჩამოწერა	67	-	67
31 დეკემბერი, 2018	(80)	(2)	(82)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2016	75	2	77
31 დეკემბერი, 2017	157	1	158
31 დეკემბერი, 2018	161	-	161

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

13. საინვესტიციო ქონება

	საინვესტიციო ქონება
ღირებულება	
31 დეკემბერი, 2016	263
შეძენა	4
ჩამოწერა	-
31 დეკემბერი, 2017	267
შეძენა	10
ჩამოწერა	-
31 დეკემბერი, 2018	277
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2016	(54)
ცვეთის ხარჯი	(13)
ჩამოწერა	-
31 დეკემბერი, 2017	(67)
ცვეთის ხარჯი	(10)
ჩამოწერა	-
31 დეკემბერი, 2018	(77)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2016	209
31 დეკემბერი, 2017	200
31 დეკემბერი, 2018	200

კომპანია ფლობს 845 კვ.მ მიწას და მასზე განთავსებულ 419 კვ.მ შენობა-ნაგებობას ახალციხეში, სადაც განთავსებული აქვს სარესტორნო ინვენტარი და აღჭურვილობა, რაც მთლიანად გაქირავებული აქვს იჯარის წესით და წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას. აღნიშნულ შენობაში განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული სარესტორნო ინვენტარი.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 3) მიხედვით, საინვესტიციო ქონება აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

კომპანიას არ დაუქირავებია ექპერტები საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად, თუმცა რეალური ღირებულების შეფასება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა ხელმძღვანელობის სახელით კომპანიის შიდა თანამშრომლების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება. შეფასებულმა რეალურმა ღირებულებამ შეადგინა 265 ათასი ლარი და კომპანია აღნიშნული ღირებულების საფუძველზე იხდის ქონების გადასახადს, იმის მიუხედავად, რომ საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 200 ათასი ლარია.

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

14. მარაგები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
მზა პროდუქცია	1,216	240
საწვავი	146	35
ნედლეული	3	99
დაუმთავრებელი წარმოება	91	4
სულ მარაგები	1,456	378

15. წმინდა საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივები ძირითადად შედგება მიღებულ ავანსზე დარიცხულ დღ-ს თანხებისგან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საგადასახადო აქტივი შეადგენს 544 ათას ლარს (2017: 196 ათას ლარს).

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო მოთხოვნები	4,702	3,163
სხვა მოთხოვნები	7	2
წინასწარ გადახდები	338	1,035
გაუფასურების ზარალის რეზერვი	(2,540)	(1,406)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,507	2,794

*გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
გაუფასურების რეზერვი		
გაუფასურების რეზერვი, პერიოდის დასაწყისში	(1,406)	(1,373)
წლის რეზერვი	(1,134)	(33)
გაუფასურების რეზერვი პერიოდის ბოლოს	(2,540)	(1,406)

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული ბანკში	75	192
ნაღდი ფული სალაროში	168	87
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	243	279

ფულის ბალანსი საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო, იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები სადაც კომპანიას გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ საიმედო და კარგად ცნობილ საკრედიტო ინსტიტუტებს.

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

18. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 ათას ლარს (2017: 2 ათასი ლარი) რომელიც 100%-ით ეკუთვნის ფიზიკურ პირ ოთარ თათეშვილს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2018 წელს კომპანიამ გასცა 1,155 ათასი ლარი (2017: 1,526 ათასი ლარი) ფულადი სახით.

19. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

ხელ. ნომერი	გამსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ხელშ. თარიღი	მოქმედების ვადა	31-დეკ-18	31-დეკ-17
#1708612-9161719	სს "თიბისი ბანკი"	GEL	11.5%	31-08-17	05-09-22	-	617
#1708612-8897654	სს "თიბისი ბანკი"	EUR	7.5%	24-04-17	01-05-22	-	761
#1708612-10165650	სს "თიბისი ბანკი"	GEL	12.5%	26-10-18	15-10-21	935	-
#1708612-9602980	სს "თიბისი ბანკი"	EUR	8.0%	10-02-18	09-02-21	223	-
სულ						1,158	1,378

სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო ვალდებულებები	1,009	893
გადასახდელი ხელფასები	14	-
მიღებული ავანსები	1,474	21
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,497	914

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამ თვემდე.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის მიერ ლიკვიდურობის რისკის მართვის შესახებ იხილეთ შენიშვნა 23-ში.

21. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა

21. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა ნულს (2017: ნული).

22. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები, რომელზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ქვემოთ წარმოდგენილი კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებული საკრედიტო რისკთან 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,507	2,794
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	168	87
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი		2,675	2,881

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

წელი დასრულებული			31-დეკ-18
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
ევრო	102	223	(121)
სულ	102	223	(121)

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	წელი დასრულებული		31-დეკ-17
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
ევრო	84	761	(677)
სულ	84	761	(677)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

გავლენა მოგება-ზარალზე	31-დეკ-17	31-დეკ-18
ევროს 10%-ით გამყარება	(68)	(12)
ევროს 10%-ით გაუფასურება	68	12

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

23. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,169	-	-	2,169
ფული და ფულის ეკვივალენტები	243	-	-	243
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	-	(728)	-	(728)
მოკლევადიანი სესხი	(430)	-	-	(430)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,023)	-	-	(1,023)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	959	(728)	-	231

31-დეკ-17	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,759	-	-	1,759
ფული და ფულის ეკვივალენტები	279	-	-	279
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	-	(1,065)	-	(1,065)
მოკლევადიანი სესხი	(313)	-	-	(313)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(893)	-	-	(893)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	832	(1,065)	-	(233)

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- (a) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „არალი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები წარმოდგენილი ქვემოთ:

		31-დეკ-18	31-დეკ-17
ურთიერთ დამოკიდებულება		დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსები	დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		329	252
შპს დემეტრე და კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ	-	222
შპს კარიერი 2015	საერთო კონტროლის ქვეშ	329	30
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		263	41
შპს დემეტრე და კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ	246	24
შპს ვივა იბერია	საერთო კონტროლის ქვეშ	17	17
გადახდილი ავანსები		33	30
შპს ბი სეიფ	საერთო კონტროლის ქვეშ	17	-
შპს ლაბა პროდუქტი	საერთო კონტროლის ქვეშ	1	-
შპს კარიერი 2015	საერთო კონტროლის ქვეშ	15	30

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

		2018	2017
ურთიერთ დამოკიდებულება		დაკავშირებულ მხარეებთან ბრუნვა	დაკავშირებულ მხარეებთან ბრუნვა
შემოსავალი		1,013	214
შპს დემეტრე და კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ	750	188
შპს კარიერი 2015	საერთო კონტროლის ქვეშ	263	26
სხვა საოპერაციო ხარჯები		350	130
შპს დემეტრე და კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ	340	119
ფ/პ ოთარ თათეშვილი	საერთო კონტროლის ქვეშ	10	11
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		534	37
შპს დემეტრე და კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ	534	37
ხელმძღვანელობის ანაზღაურება		2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი		59	40

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2019 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2019 წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ დამფუძნებელზე გაცემული აქვს დივიდენდი 857 ათასი ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „არალი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები	3
2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	3
3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	4
5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	5
6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	5

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები

შპს „არალი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 2004 წლის 4 თებერვალი. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის წარმოება, ქვიშა-ხრემის მოპოვება და გადამუშავება. ასევე კომპანიას გააჩნია გაზ-გასამართი სადგური, სადაც ახდენს ბუნებრივი აირის რეალიზაციას. კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მისამართი: ახალციხე, აბასთუმნის გზატკეცილი.

ელ. ფოსტა: info.arali@gmail.com

ვებ გვერდი: არ აქვს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, ოთარ თათეშვილი.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წლისთვის შეადგენდა 165 ადამიანს.

კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი. კომპანიის დირექტორს და გადაწყვეტილებების მიმღებს, კომპანიის მფლობელთან ერთად წარმოადგენს დემეტრე თათეშვილი.

კომპანიამ 2018 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მათ შორის არის პროექტი „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გოდერძის უღელტეხილი - ბეშუმის საავტომობილო გზის კმ 1-კმ 6 მონაკვეთის რეაბილიტაცია“ და რომლის მთლიანი ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით იყო 4,185,009 ლარი.

კომპანია განვითარების ახალ ფაზაში გადადის და მრავალმხრივი მიზნები და გეგმები გააჩნია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. კომპანიის სტაბილურობის შენარჩუნება, ზრდა და განვითარება;
2. მომსახურების მაღალი ხარისხი და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა
3. გუნდური პრინციპით მუშაობა;

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების კონკურენციის და პროდუქციის შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით, მათ შორის ელექტრონული ტენდერების ანალიზით, და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

შპს „არალი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას სათაო ოფისი და მისი აქტივები განთავსებულია ახალციხეში. მას არ გააჩნია ფილიალები ქვეყნის მასშტაბით.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

საზოგადოება დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ - პროცენტიანია, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

სავალუტო რისკი - საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა საზოგადოებას არ აქვს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები და ტრანზაქციები, შესაბამისად სავალუტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ცხრილში წარმოდგენილია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ კომპანიის მგრძნობელობა:

ათას ლარში		31-დეკ-18	
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
ევრო	102	223	(121)
სულ	102	223	(121)

შპს „არალი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

ათას ლარში	გავლენა მოგება-ზარალზე
ევროს 10%-ით გამყარება	(12)
ევროს 10%-ით გაუფასურება	12

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,169	-	-	2,169
ფული და ფულის ეკვივალენტები	243	-	-	243
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	-	(728)	-	(728)
მოკლევადიანი სესხი	(430)	-	-	(430)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,023)	-	-	(1,023)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	959	(728)	-	231

4. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია საკუთარი აქციები, არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის აქციებით ვაჭრობს.

5. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

ფინანსური რისკების გარდა, კომპანიაში ასევე არსებობს საოპერაციო რისკები.

კომპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარემოს დაცვას და უსაფრთხოებას. კომპანია მუშაობს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. კონკრეტული პროექტის როგორც დაწყების დროს, ასევე მიმდინარეობის პროცესში დეტალურად ხდება შესაძლო რისკების დადგენა და მუშავდება მათი თავიდან აცილების გეგმა. კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და

შპს „არალი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან ერთად. საზოგადოების საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.

დირექტორი - დემეტრე თათეშვილი

შპს „არალი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ზორციელდება მენეჯმენტის მიერ საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან ერთად. საზოგადოების საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი.



დირექტორი - დემეტრე თათეშვილი